

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ვალერი კატუკია

”ინსტიტუციურ-მმართველობითი ურთიერთობების განვითარება
ბიზნესის სფეროში”

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილია დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა: მასობრივი კომუნიკაცია, შიფრი: 02

თბილისი - 2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

სტუ-ს პროფესორი

/ა. აბრალავა/

რეცენზენტები: პროფ. ე. ბარათაშვილი

პროფ. ი. მესხია

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის ” ---- ” ივნისს, ----- საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი 6, აუდიტორია ____

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ავტორეფერატისა – სტუ-ს ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

სტუ-ს პროფესორი

/ს. ხიზანიშვილი/

Abstract

The thesis consists of introduction, three chapters and conclusion. The introduction has standard content.

The first chapter of the paper - 'The Theoretical and Methodological basis (aspects) of Institutional Management system in Business sector' - includes 3 topics. These topics are:

1. Institutionalism – definition, criteria, theoretical basis and institutional transformations;
2. Institutional reforms and their dynamics in Georgian Business Sector;
3. Institutional contradictions in the relationships between organizations.

The first chapter of the thesis starts with presenting the views of scholars like D. North, K.E. Scott, R. Hall, W.W. Powell, A. Pigou, F. Taylor, H. Fayol, and R. Coase on institutions, behavior and organizational relationships. All of them agree that in modern society the role of formal institutions as well as informal rules are extremely important. In case of formal institutions, together with the development of society, the oral traditions and norms of behavior are gradually replaced by written laws and regulations and are implemented in compliance with the rules.

The same chapter discusses that the organizational factors are more important than the technical as they encourage institutional changes, which themselves significantly influence the development of economy. North regards the technical changes and other factors influencing the economic development as insufficient. The economic growth is stipulated by economically solid organization. In his works, North raises one fundamental question: why some countries are rich while others are poor? He answers this question himself: 'Institutions form the basic structure, which helped people throughout the history, to set up the order and, therefore, reduced the degree of suspiciousness. With the use of technics, they determine the cost of operations and transformations and, therefore, profitableness and validity of economic activities'. In the same chapter institutional management reforms and their dynamics in Georgian Business sector are discussed. Considerable attention is dedicated to the institutional contradictions in the relationships between organizations.

The second chapter of the thesis – 'Economic Relations Management Institutions and their Evolution' – discusses managerial sectors of the development of economic relations in business, economic crisis and institutional managerial approaches for solving it, improvement of management problems and engaging international practice in problem solving. To improve the institutional management activities the following recommendations are drafted:

- Stirring up activities in accordance with introducing new products to the market;
- Universalization in everything and everywhere;
- A desire for prominence.

During considering these peculiarities, PhD student concludes that at the initial stage the businessmen really achieve their objectives, but this is short-term success and soon they

start to suffer from the crisis. PhD student evaluates above-mentioned all three peculiarities negatively and provides his own recommendations to Georgian businesses and their owners.

The analysis of a modern business situation is also carried out in this chapter and it's noted that the overcoming of world economic crisis requires, on the one hand, market mechanisms to improve and operate without interference, but, on the other hand, it is necessary to elaborate economic policy focused on public needs which will become damper and determining factor for moderateness of the market.

The third chapter – 'Georgia and global system of institutional management relations' discusses new approaches to the Georgian business, institutional management relations. Georgia and its business sector has to choose short and long-term projects of its socio-economic development which will contribute to the successful implementation of economic and institutional reforms. Among them, the most important are economic development, strengthening of democracy, free trade, poverty reduction, adaption of competitive policy and many other areas. We consider the economic and social integration to the EU as a way to solve these problems. The EU Association Agreement is a document giving new opportunities and its usage depends on governmental institutions and all those people who are working in the business field.

The author believes that for the success of Georgian business, the following recommendations should be considered:

- Identifying development priorities;
- Adequate assessment of the available resources;
- A clear definition of property rights;
- Supporting technological development on the basis of priorities;
- Increasing employment.

The last chapter of the paper is dedicated to the perspectives of Institutional management transformation in Georgia in the context of globalization. It should be noted that adequately to the integration processes the state and business are acquiring new functions. Therefore, it is necessary to have right attitudes and beliefs about European integration, as well as in-depth analysis of the possible positive and negative following processes. The author highlights the important factors such as:

- 1. Factor of Communication;**
- 2. Factor of common regional area;**
- 3. Economic factor;**
- 4. Mental factor;**
- 5. Cultural and religious factors;**

He concludes that these factors should be reviewed in terms of legal, social, political and common economic interests.

The interests of Georgia as a state will largely depend on the new integrated reality which should be considered entirely in the context of the regional integration, completely new reality and the ensuing effective conduct of opportunities. For the implementation of regional integration policy, there are historical prerequisites in terms of fundamental scientific researches and huge experience of this exists as well, which, as already

mentioned above should be applied to the new reality and this should logically lead to the starting position of region's harmonious development.

Transformational processes replaced the traditional development strategies of the country. Georgian reality was introduced to the EU in different ways. The strategic vision was expanded and became more comprehensive. Nowadays the processes of globalization and regional integration flows for any country, including Georgia serve as the main factors for the development. This factor offers a new paradigm for a sovereign state whose traditional development strategies have been changed. It's noted many times that the scope of strategic vision has been changed and expanded its covered areas. The role of the integration in defining Georgia's development strategy was distinctly emphasized. Ongoing processes in business sector were described with a variety of characteristics. The existence of alternative sources of the implementation of business development and the diversity of motivational approaches complicates the determination of priorities, therefore, the new reality requires new regulations in the field of institutional as well as business management. For instance, regulating global and regional processes, cooperating with international agencies, negotiating in the geopolitical and geo-economic systems, protecting state's economic interests and business sphere while participating in integration processes and etc.

The state should be able to transform the economy for encouraging the business sector. The existing businesses rapidly develop in some fields but start-ups still fail in fundraising for developing their ideas. To solve this problem and to support the start-up businesses, author believes that the institutional and managerial relations should be improved. Preference should be given to the significant human resources and energy to support the new businesses and encourage the innovative ideas. All of this will strengthen the middle class in the country and will create jobs for our citizens.

Georgia, where the territorial integrity is a huge problem, perhaps should follow the economization of state policy (the solution of state problems with economic approaches). This concept was for the first time introduced by the American scholar Ed. Luttwak in the 80s, of XX century, when he gave the preference for "geo-economics", or methodology of solving political problems with economic methods. As PhD Student says, this assumption of the author was justified in recent years.

Now the existence of the three geo-economic poles (North American, Western European Asia-Pacific) in the world defines the scope of the contradictory processes of globalization and regionalization, its characteristics and dynamism. It is noteworthy that the first pole contributes to the 21% of the world GDP, second pole – to 20 %, while China holds 12 % and Japan -7.5%. The author concludes, that these poles show that "the globalization and regionalization are concomitant processes and components of integral system. They complement each other, possess a high level of mutual conditionality and form a unified system of development process."

The final conclusion is made.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საქართველოში ბიზნესის ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე, მთავარია, რომ ჩვენმა ქვეყანამ უზრუნველყოს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებთან ურთიერთხელსაყრელი, თანაბარუფლებიანი და პრაგმატული ურთიერთობების დამყარება, ჩამოაყალიბოს უფრო მჭიდრო კავშირი ევროპის ქვეყნებთან, რომლის ნაწილიც თვითონაა.

ჩვენი აზრით, განსახილველი პრობლემატიკის ინსტიტუციურ-მმართველობითი განვითარების ადეკვატური წარმოდგენა და შემდგომ ამ პრობლემების თანმიმდევრული გადაწყვეტა შესაძლებელია ინსტიტუციური მიდგომის გამოყენების საფუძველზე. საქართველოსათვის ინსტიტუტების ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანი საფუძველია ევროკავშირის და მისი ბიზნესგარემოს პოტენციალის სრული გამოყენებისათვის.

ინსტიტუციურ-მმართველობითი მიდგომის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს, რადგან მსოფლიოში ჩატარებული ცნობილი კვლევებით დადასტურებულია, რომ ქვეყნებს შორის გრძელვადიან ისტორიულ პერიოდზე განვითარების სხვადასხვა განსხვავებული დონის ჩამოყალიბებაში უპირატესად სწორედ ის ფაქტორები მონაწილეობენ, რომელთა აღწერაც შესაძლებელია მხოლოდ ინსტიტუციონალიზმის პრიზმაში. მიუხედავად პრობლემატიკის მნიშვნელობისა რიგი საკითხები ინსტიტუციურ მიდგომაში, თეორიულად არასაკმარისადაა გამოკვლეული, ხოლო პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი ერთი და იგივე ცნების განსხვავებულ აღქმას, ან არსობრივად განსხვავებული კატეგორიის გაიგივებას. ამ გარემოებამ გვიბიძგა სადისერტაციო ნაშრომში შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა ინსტიტუციური და მმართველობითი ურთიერთობების განვითარების პრობლემები ბიზნესის სფეროში.

ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციების პოზიციიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმის შეცვლის პრობლემასა და მექანიზმებს. კერძო საკუთრების უპირატესობა ეჭვს არ იწვევს, თუმცა, საკუთრების დაცვის მიმართულებით აუცილებელია

სახელმწიფო რეგულაცია და სახელმწიფო მხარდაჭერა. ადამიანები თავიანთ თავზე იღებენ შეზღუდვებს და ამ შეზღუდვებით აგებენ ერთმანეთთან ურთიერთობებს. განვითარებული საზოგადოების ინსტიტუციური სტრუქტურა მოიცავს, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ წესებს, რომლებიც გარკვეული ფორმით მოქმედებენ ერთმანეთზე. ინსტიტუციური სტრუქტურა გადამწყვეტ გავლენას ახდენს იმაზე, თუ, რომელი ორგანიზაციები ჩნდებიან საზოგადოებაში და როგორ ვითარდებიან ისინი. ორგანიზაციებიც, თავის მხრივ, მოქმედებენ საზოგადოებაში ინსტიტუციური შეზღუდვების ცვლილების პროცესზე.

თანამედროვე საზოგადოებაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, როგორც ფორმალური ინსტიტუტები, ისე არაფორმალური წესები. ფორმალური ინსტიტუტების შემთხვევაში საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ დაუწერელ ტრადიციებსა და ქცევის ნორმებს თანდათანობით ცვლის დაწერილი კანონები და ხორციელდება წესების ფორმალიზაცია.

ინსტიტუტების შექმნის პროცესი, ანუ ინსტიტუციონალიზაცია, გულისხმობს სპონტანური და ექსპერიმენტული ქცევის შეცვლას რეგულირებული, მოსალოდნელი და პროგნოზირებადი ქცევით. ინსტიტუციონალიზაციის პრობლემატიკაში მნიშვნელოვნად გვესახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და დინამიკის განვითარების დონის შესწავლა ინსტიტუტების ფორმირებისა და ფუნქციონირების ეფექტიანობის მონიტორინგის თვალსაზრისით, ასევე, უნდა დაისვას საკითხი მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში ქვეყნის მდგომარეობის განსაზღვრისათვის, საქართველოს ბიზნეს გარემოს, ევროკავშირის ბიზნეს გარემოსთან ინსტიტუციური სტრუქტურების თავსებადობის შესახებ. თანამედროვე ეკონომიკური პროცესების ფუნქციონირება და განვითარება მუდმივი ცვლილებებით არის აღსავსე. ცვლილებები ხდება საერთაშორისო ბიზნესის ყველა სფეროში. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება რეალიზდება ინოვაციებში და ცვლის რესურსების გამოყენების ეფექტიანობას და უძებნის გამოყენების ახალ ფორმებს უკვე არსებულ რესურსებს.

ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევა უპირატესობას ანიჭებს ერთწყება ინ-დივიდებსა და ჯგუფებს, სხვებს კი - ართმევს მათ. ფინანსების თანამედროვე მსოფლიო ბაზარზე მომხდარი ძვრები მკვეთრ ცვლილებებს იწვევს ეროვნულ ვალუტებში, სხვადასხვა სახის ინვესტიციებში, თუ საერთაშორისო ვაჭრობაში. ეს ცვლილებები არის ძვრები ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პირობებში. ამის პარალელურად ცვლილებები ხდება მეურნეობრიობის წესებში. იღებენ ახალ კანონებს. აქედან გამომდინარე, ადვილი დასანახია, რომ ინსტიტუციურ მმართველობითი განვითარების პრობლე-მები მეტად აქტუალურია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში.

ინსტიტუციური მიდგომის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს, რადგან მსოფ-ლიოში ჩატარებული ცნობილი კვლევებით დადასტურებულია, რომ ქვეყნებს შორის გრძელვადიან ისტორიულ პერიოდზე განვითარების სხვადასხვა განსხვავებული დონის ჩამოყალიბებაში უპირატესად სწორედ ის ფაქტორები მონაწილეობენ, რომელთა აღწერაც ადეკვატურად შესაძლებელია მხოლოდ ინსტიტუციონალიზმის პრიზმაში. მიუხედავად პრობლემის აქტუალობისა, რიგი საკითხები ინსტიტუციურ მიდგომაში, ჩვენი აზრით, არასაკმარისადაა გამოკვლეული. ამ გარემოებამ გვიბიძგა ინსტიტუციურ-მმართველობითი ურთიერთობების განვითარების შესწავლისკენ ბიზნესის სფეროში.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ჩვენი კვლევის მიზანია მეურნეობრიობის პირობებში მომხდარი ცვლილებების, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ გადაწყვეტილებათა მიღებაზე მათი გავლენის და ამ გადაწყვეტილებათა შედეგების კვლევა; აგრეთვე ნეოინსტიტუციონალური მიმდევრების (დ. ნორტი) მიერ გამოკვლეული ეკონომიკური ქცევის წესებში მომხდარი ცვლილებები, ანუ ინსტიტუციური ცვლილებები. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. დსთ-ს, აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყნები მეტ-ნაკლებად წარმატებით მიმდინარე მრავალფეროვანი ტრანსფორმაციული პროცესების მდიდარ მასალას გვაძლევენ მათში ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებისა და განვითარების ხასიათზე. ინსტიტუციური ცვლილებების გავლენის მექანიზმების კვლევისათვის.

ინსტიტუციურ ცვლილებათა პოზიციებიდან მიდგომის გამოყენება ყურადღებას მიაპყრობს საკუთრების უფლებათა ცვლილების და მათი აღსრულების იძულების მექანიზმების პრობლემებს. განსახილველ წრეში ჩავრთეთ მთელი რიგი არაეკონო-მიკური ფაქტორები (სოციალური, იურიდიული, პოლიტიკური და სხვა). შევისწავლეთ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

1. საქართველოში ბიზნესის ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი, თანაბარუფლებიან, პრაგმატული ურთიერთობების დამყარება და ავტორისეული პოზიციის ფორმირება;

2. ინსტიტუციურ - მმართველობითი განვითარების ადეკვატური წარმოდგენა და ამ პრობლემის თანმიმდევრული გადაწყვეტა ინსტიტუციური მიდგომით;

3. ევროკავშირის და მისი ბიზნეს გარემოს პოტენციალის სრული გამოყენების მიზნით ინსტიტუტების შესაბამისი ტრანსფორმაცია და ამ მიმართულებით ავტორისეული პოზიციის ფორმირება;

4. ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციების პოზიციიდან წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმის შეცვლის მექანიზმების, შედეგების და პრობლემების შესწავლა, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა.

5. საკუთრების დაცვის მიმართულებით სახელმწიფო რეგულაციებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის ანალიზი;

6. ბიზნესის სფეროს გაუმჯობესების და სრულყოფის მიზნით ინსტიტუციონა-ლიზაციის პრობლემატიკაში მნიშვნელოვნად გვესახება ქვეყნის სოციალურ - ეკონომი-კური სისტემის ფუნქციონირებისა და დინამიკის განვითარების დონის შესწავლა;

7. საქართველოს ბიზნეს გარემოს ევროკავშირის ბიზნეს გარემოსთან ინსტიტუციური სტრუქტურების თავსებადობის შესწავლა;

ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კვლევის დიალექტიკური მეთოდი, ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებლური დებულებები. ნაშრომის დამუშავების პროცესში გამოყენებული საკვლევი თემის გარშემო

არსებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მონოგრაფიები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ეკონომიკური ანალიზი ნაშრომში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოკვლევით ჩატარდა. მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის მიზნით კვლევაში გამოვიყენეთ ანალიზის და სინთეზის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდები, რომელთაც მოგვცეს საშუალება შედეგები ყოფილიყო განზოგადებული და გაგვეკეთებინა ლოგიკური დასკვნები, რომლებიც ამდლებენ წარმოების ეფექტიანობას და მმართველობითი ინოვაციების მიზანმიმართულ გამოყენებას.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტს, გამოკვლევის კონკრეტული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ბიზნესის განვითარების სფეროში ინსტიტუციონალიზმის თეორეტიკოსთა შრომების კრიტიკული ანალიზი, ბიზნესის ინსტიტუციონალური გარემო საქართველოში გლობალიზაციის კონტექსტში, ინსტიტუციური ტრანსფორმაციები, მასზე მოქმედი ფაქტორები, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგები და ქართულ ბიზნესში საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიმდინარე ინსტიტუციური და მმართველობითი რეფორმები. ასევე, კვლევის ობიექტებია: „თი-ბი-სი“ ბანკი, სადაზღვევო კომპანიები, სუპერ- და ჰიპერ მარკეტები.

კვლევის საგანია ბიზნესის სფეროში მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლა და მართვის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები. მენეჯმენტის მეთოდებისა და პრინციპების გამოყენების გაუმჯობესების პერსპექტივების შემუშავება. ასევე, საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში და თავსებადობის პრობლემები.

მეცნიერული სიახლე: სადისერტაციო თემაზე მუშაობისას შესწავლილ იქნა ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებლების თეორიულ საფუძვლებზე და უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით საქართველოსა და გლობალურ ინსტიტუციურ ურთიერთობათა სისტემაში საქართველოს ადგილი და როლი. მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს:

1. გაანალიზებულია საქართველოში მიმდინარე ინსტიტუციური და მმართველობითი ტრანსფორმაციების ძირითადი ასპექტები როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები;

2. შეფასებულია რეგიონში არსებული რესურსები როგორც ბუნებრივი, ეკონომი-კური და კულტურული ფენომენი;

3. განსაზღვრულია ინსტიტუციურ-მმართველობითი განვითარების პრიორიტეტები, შესწავლილია ბიზნესის ინსტიტუციონალური გარემო;

4. გამოვლენილია გლობალიზაციის პროცესისა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების თანხვედრაში თავსებადობის გზები;

5. შემოთავაზებულია ევრობაზარზე საქართველოს გეოეკონომიკის სტრატეგიულ რესურსად გამოყენების პერსპექტივა, რეკომენდებულია საქართველოს წარდგენა კავკასიის რეგიონის ფარგლებში და მასთან ინტეგრაციით.

კვლევის შედეგები და პრაქტიკული მნიშვნელობა. ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებლების თეორიულ საფუძვლებზე და უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით საქართველოსა და გლობალურ ინსტიტუციურ ურთიერთობათა სისტემაში საქარ-თველოს ადგილი და როლი, ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ძირითადი ასპექტები, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები. გაანალიზებულია და მიეცა მეცნი-ერული შეფასება საქართველოში მიმდინარე ინსტიტუციურ და მმართველობით ინოვაციებს. შემუშავებული იქნა ინსტიტუციური რეფორმების პერსპექტიული ხედვა საქართველოში.

კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამოსავალ ბაზად, ბიზნესის მართვის სრულყოფისათვის. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ქვეყნის ბიზნესის სფეროს მენეჯმენტის მიერ, აგრეთვე მეთოდოლოგიური მასალის სახით მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამებში და სამეცნიერო კვლევებში.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. დისერტაციის საერთო მოცულობაა 169 გვერდი. დისერტაციის სტრუქტურა კი დასმული ამოცანებითა და მიზნით განისაზღვრება. ნაშრომი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილ-

ვის, სამი თავისა და ცხრა ქვეთავისაგან. ნაშრომს ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 169 გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

კვლევის მიზნებმა, ამოცანებმა და პრობლემების გადაწყვეტის ლოგიკამ განაპირობა დისერტაციის შემდეგი სტრუქტურა:

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I. ინსტიტუციურ-მმართველობითი სისტემის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები (ასპექტები) ბიზნესის სფეროში;

1.1. ინსტიტუციონალიზმიაზრი, შინაარსი, კრიტერიუმები, თეორიული საფუძვლები და ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციები;

1.2. ინსტიტუციონალურ-მმართველობითი რეფორმები და მათი დინამიკა ქართულ ბიზნეს სექტორში;

1.3. ინსტიტუციონალური წინააღმდეგობები ორგანიზაციების მმართველობით ურთიერთობებში;

თავი II. ეკონომიკური ურთიერთობების მართვის ინსტიტუტები და მათი ევოლუცია;

2.1. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მმართველობითი სფეროები ბიზნესში;

2.2. ეკონომიკური კრიზისი და მისი დაძლევის ინსტიტუციურ-მმართველობითი მიმართულება;

2.3. მართვის პრობლემების სრულყოფა და საერთაშორისო გამოცდილების ჩართვა პრობლემის მოგვარებაში;

თავი III. საქართველო და გლობალურ ინსტიტუციურ-მმართველობითი ურთიერთობათა სისტემა;

3.1. ინსტიტუციურ-მმართველობითი ტრანსფორმაციების ანალიზი;

3.2 მმართველობითი ურთიერთობების განვითარების სოციალური ასპექტები.

3.3. ინსტიტუციურ-მმართველობითი ტრანსფორმაციის პერსპექტივები საქართველოში გლობალიზაციის კონტექსტში.

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

ნაშრომის მოკლე შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა; დახასიათებულია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანები, ობიექტები, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა; ჩამოყალიბებულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები, ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში - ინსტიტუციურ-მმართველობითი სისტემის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები (ასპექტები) ბიზნესის სფეროში - განვიხილავთ ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში ინსტიტუციისა და ინსტიტუტის ცნებებს.

XX საუკუნის დასაწყისში ჩასახული ინსტიტუციური მეცნიერება წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების ნაწილს, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, ფინანსური, სავაჭრო და ეროვნული ინსტიტუტების ფუნქციონირების მექანიზმებს კონკრეტულ ისტორიულ პირობებში.

ინსტიტუტების შექმნის პროცესი გულისხმობს სპონტანური და ექსპერიმენტული ქცევის შეცვლას რეგულირებული და პროგნოზირებადი ქცევით. ამ პროცესში იგულისხმება რამოდენიმე ურთიერთდაკავშირებული ეტაპი, როგორცაა: მოთხოვნილების წარმოშობა, რომელთა დაკმაყოფილებაც მოითხოვს ადამიანთა ერთობლივ ორგანიზებულ მოქმედებას; სტიქიური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთმოქმედების პროცესში ნორმებისა და წესების გაჩენა, ამ ნორმებისა და მათი ხელშეწყობისათვის დადგენილი

სანქციების გამოყენება; ინსტიტუტის ყველა წევრის მიმართ შესაბამისი სტატუსებისა და როლების ჩამოყალიბება; ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც დაარეგულირებენ ინსტიტუტის ფუნქციონირებას.

ინსტიტუციონალიზმი წარმოადგენს ადამიანთა საქმიანობის რეგულირების მექანიზმს, რომელიც ცდილობს ინსტიტუტების ფორმირებას მოუძებნოს ეკონომიკური ახსნა და დაასაბუთოს, როგორ მოქმედებენ ისინი საზოგადოებრივ სიმდიდრეზე.

ლიტერატურაში გვხვდება ინსტიტუციონალიზმის და ინსტიტუტების სხვადასხვა განმარტება:

1) ინსტიტუტები განისაზღვრება, როგორც „თამაშის წესები“, რომლებიც აყალიბებენ ორგანიზაციებისა და ინდივიდების ქცევას ეკონომიკაში;

2) ინსტიტუტები განისაზღვრება, როგორც კულტურული ნორმები, რწმენა და მენტალიტეტი;

3) ინსტიტუტები განიხილება, როგორც ორგანიზაციული სტრუქტურა, მაგ. საფინანსო ინსტიტუტები - ბანკები, საკრედიტო ორგანიზაციები;

4) ცნება „ინსტიტუტი“ შეიძლება გამოყენებულ იქნას პიროვნების განსაზღვრული თანამდებობის მიმართ, მაგ. პრეზიდენტის ინსტიტუტი;

5) თამაშის წესებისადმი თეორიული მიდგომა გულისხმობს ინსტიტუტებს, როგორც თანასწორ მოთამაშეებს.

ინსტიტუციონალური თეორიის მიხედვით, მოცემულ ორგანიზაციულ გარემოში სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, ორგანიზაციები იზიარებენ და ხდებიან იმ კანონების, ღირებულებებისა თუ ფასეულობების მატარებელნი, რომლებიც არსებული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი.

ახალი ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში სამი განსხვავებული სკოლა ჩამოყალიბდა: ისტორიული ინსტიტუციონალიზმი, რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზმი და სოციოლოგიური ინსტიტუციონალიზმი.

ინსტიტუციური თეორია წარმოიშვა სამეურნეო საქმიანობაში მრავალმხრივი და სისტემური სამართლებრივი რეგულირების საჭიროების

იდეიდან გამომდინარე და მისი ძირითადი აზრი მდგომარეობს ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური, ეკონომიკური და სხვა შიდა ინსტიტუტების დალაგებაში. ასეთი ზომების აუცილებლობა საქართველოს 1990-იანი წლების ისტორიულ მაგალითზე შეგვიძლია დავინახოთ, როცა ხდებოდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ქართული ეკონომიკის რეფორმატორებმა ინსტიტუციური მიდგომების იგნორირება მოახდინეს და ამდენად, ქვეყანაში ვერ შექმნეს სრულფასოვანი საბაზრო ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ფორმირებადი ბაზრის გამჭვირვალე, ეფექტიანი და წარმატებული საქმიანობის შესაძლებლობას.

ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციების პოზიციიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმის შეცვლის პრობლემასა და მექანიზმებს. კერძო საკუთრების უპირატესობა ეჭვს არ იწვევს, თუმცა, საკუთრების დაცვის მიმართულებით აუცილებელია სახელმწიფო რეგულაცია და სახელმწიფო მხარდაჭერა. ადამიანები თავიანთ თავზე იღებენ შეზღუდვებს და ამ შეზღუდვებით აგებენ ერთმანეთთან ურთიერთობებს. განვითარებული საზოგადოების ინსტიტუციური სტრუქტურა მოიცავს, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ წესებს, რომლებიც გარკვეული ფორმით მოქმედებენ ერთმანეთზე. ინსტიტუციური სტრუქტურა გადამწყვეტ გავლენას ახდენს იმაზე თუ რომელი ორგანიზაციები ჩნდებიან საზოგადოებაში და როგორ ვითარდებიან ისინი. ორგანიზაციებიც, თავის მხრივ, მოქმედებენ საზოგადოებაში ინსტიტუციური შეზღუდვების ცვლილების პროცესზე.

თანამედროვე საზოგადოებაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, როგორც ფორმალური ინსტიტუტები, ისე არაფორმალური წესები. ფორმალური ინსტიტუტების შემთხვევაში საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ დაუწერელ ტრადიციებსა და ქცევის ნორმებს თანდათანობით ცვლის დაწერილი კანონები და ხორციელდება წესების ფორმალიზაცია. ფორმალური წესები მოიცავს:

- პოლიტიკური წესებს;
- ეკონომიკურ წესებს;

- კონტრაქტებს.

საბაზრო ეკონომიკა, უწინარეს ყოვლისა, თავისუფალი ბიზნესის ეკონომიკაა, ე.ი. იგი ქმნის ბიზნესის ფართოდ გავრცელების დიდ შესაძლებლობებს. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო მექანიზმზე გადაყვანა დაკავშირებულია ბიზნესში მოსახლეობის მაქსიმალურ ჩაბმასთან, ბიზნესის ადმინისტრირებასა და მისი მართვის მეთოდებში ცვლილებების განხორციელებასთან, რომელიც მოითხოვს კავშირების დამყარებას ახალ ბაზრებთან და მიმწოდებლებთან.

მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერმა რენსის ლაიკერტმა დაადასტურა, რომ მთელი რიგი სტრუქტურული განზომილებებით ეფექტიანი ორგანიზაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება არაეფექტიანისაგან. ეფექტიანის ის ორგანიზაცია, რომელიც აიძულებს ხელმძღვანელს მთავარი ყურადღება მიაქციოს მაღალმწარმოებლური მიზნების მქონე მუშა ჯგუფის შექმნას. ლაიკერტის თანახმად ორგანიზაცია აიგება ადამიანურ მოტივაციებზე, გარე სამყაროს ცვლილებებზე, რაც იწვევს ახალი სიტუაციებისადმი შესაგუებლად ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას.

ადმინისტრაციული ქცევის თეორია იკვლევს ორგანიზაციებში დასახული მიზნების მომუშავეთა რაციონალურ ქცევებზე გავლენის პროცესებს, რაც ნათლად აისახა ჰერბერტ საიმონის შრომებში. იგი კრიტიკულად უდგებოდა ტეილორის და ფაიოლის მართვის პრინციპებს და ქცევას განიხილავდა, როგორც ადმინისტრაციული მუშაკის კონცეფციას, რომელიც ემყარება საკუთარ ინტერესებს. მოცემული თეორია ყურადღებას ამახვილებს ორგანიზაციის შიგნით რაციონალური ქცევის მხარდასაჭერად წესებისა და დადგენილი წესრიგის მნიშვნელობაზე.

ორგანიზაციათა ფორმირების უნივერსალურ თეორია ე.წ. „გლასიერთეორია“ (ბრაუნი, ჯეკვესი) ითვალისწინებს სულ მცირე ოთხი ქვესისტემის თანაარსებობას. თითოეული (საშემსრულებლო, სააპელაციო, წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო) ამ ქვესისტემათაგანი ასრულებს ორგანიზაციის

ფარგლებში განსაკუთრებულ ფუნქციებს.ამავე დროს, ისინი ნაწილობრივ კვეთენ ერთმანეთს და ურთიერთქმედებენ.

მეოცე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ამერიკელმა მეცნიერმა ი. ანსოფმა წამოაყენა მთელი რიგი ახალი იდეები, რომლებიც ეხებოდა მმართველობით ურთიერთობებს და მათ განვითარებას. მისი აზრით, თანამედროვე ფირმის უმაღლესი ხელმძღვანელობის ძირითადი ამოცანაა ცვალებადი გარესამყაროს პირობებში სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტა.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე თეორიულ ნამუშევართა შორის წინა პლანზე წამოიწია მიმართულებებმა, რომლების უმეტესწილად გამოხატავენ ორგანიზაციათა ფუნქციონირების შეცვლილ პირობებს. ეს გამოწვეულია უმაღლეს ტექნოლოგიებზე ორიენტაციით, სარისკო ინვესტიციების პრობლემით, მეურნეობების მაღალ პროდუქტიული მართვის საშუალებებით, სამომხმარებლო მოთხოვნისა და კონკურენტთა ქცევის პროგნოზირებით და მმართველობაში სტრატეგიული მიდგომის გაბატონებით. თეორიული განზოგადებისა და ნამუშევრების ძირითადი მიმართულებებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: რეინჟინირინგი და კორპორაციათა შიგა ბაზრის (ორგანიზაციული ბაზრის) კონცეფცია. რეინჟინირინგი, ანუ თანამედროვე საინფორმაციო და ტექნოლოგიურ საფუძველზე წარმოების ორგანიზაციისა და მართვის გარდაქმნა არის კორპორაციათა კომპლექსური გაჯანსაღების, მისი მმართველობის ყველა ელემენტის, მათ შორის ადამიანური მოტივაციებისა და სტიმულების თეორია და მეთოდი. ამ მიმართულების ჩარჩოებში განიხილება ეფექტიანობის ამაღლების ახალი იმპულსები, მატრიცული სტრუქტურების პოტენციალი, კომპლექსური მიზნობრივი ჯგუფების საქმიანობის შესაძლებლობები და სხვა. ფირმის მმართველობითი მექანიზმი გადაეწყობა ბაზრის დაუფლებაზე, მისი ტევადობის ანალიზზე, საქონლის გასაღების სტიმულირებაზე, გაყიდვის სტიმულირების მეთოდებზე, საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაზე. კორპორაციათა შიგა ბაზრის კონცეფცია ხასიათდება კორპორაციის შიდა საქმიანობაში საბაზრო მეურნეობის კანონზომიერებებისა და პრინციპების გადატანით. ასეთმა

რეკოლუციურმა გარდაქმნებმა უნდა მოიცვას ყველა მისი ქვედანაყოფი. შიდა საფირმო და ფირმათაშორის ბრუნვაში მონაწილეობისას ისინი ერთიანდებიან ელტიანი საინფორმაციო ქსელებით, ფინანსური სისტემებითა და სამეწარმეო სტრუქტურით. ყალიბდებიან ავტონომიურ რგოლებად, რომლებიც ყიდულობენ და ყიდნიან საქონელსა და მომსახურებას. ორგანიზაციული ბაზრები პირდაპირი კავშირების განვითარებით მკვეთრად ამცირებენ მრავალი სახის ხარჯებს. ყურადღების ცენტრში ექცევა იერარქიულ და ჰორიზონტალურ მართვით სტრუქტურებზე გადასვლა, მსხვილ და წვრილ ოპერაციებს შორის სასარგებლო შეთანხმებები. ამ კონცეფციის თანახმად, ქვედანაყოფებს, რომლებსაც ფირმის შიგნით აქვთ ფართო ეკონომიკური დამოუკიდებლობა, შეუძლიათ ოპერატიულად განახორციელონ ცვლილებები საქონლის წარმოებაში, მომსახურების შეთავაზებაში, მომხმარებლებთან ურთიერთობის მთელ სისტემაში. რომლის საფუძველზე და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ყალიბდება ქსელური ორგანიზაციები, კლასტერები, რომლებშიც შედის განაწილებული ავტონომიური რგოლები, ე.წ. ვირტუალური კორპორაციები. ჩნდება მართვის პრინციპულად ახალი ობიექტი, რომელიც მოითხოვს ფაქიზ აწყობას. ამ მიმართულებას მხარს უჭერს „დემოკრატიული კორპორაციის კონცეფცია“, რომელიც ითვალისწინებს მართვის ფართო დეცენტრალიზაციას ქვედანაყოფებისა და მართვის ფუნქციონირების დემოკრატიული ფორმებისა და მეთოდების განვითარებით.

ეფექტიანი ეკონომიკური სისტემები აყალიბებს მოქნილ ინსტიტუციურ სტრუქტურებს, რომელთაც შესწევთ უნარი გადაიტანონ შოკი და ცვლილებები. ეს სისტემები მართალია წარმატებული განვითარების ფაქტორია, თუმცა მათი ფორმირება ხანგრძლივი პროცესის შედეგია.

მმართველობითი ურთიერთობების განვითარების ეტაპზე წინა პლანზე წამოიწია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე თეორიულმ ნამუშევრებმა, რომლებიც უმეტესწილად გამოხატავენ ინსტიციურ - მმართველობითი ურთიერთობების შეცვლილ პირობებს. ეს გამოწვეულია უახლეს ტექნოლოგიებზე ორიენტაციით, სარისკო ინვესტიციების პრობლემით, მეურნეობების

მაღალპროდუქტიული მართვის საშუალებებით, სამომხმარებლო მოთხოვნისა და კონკურენტთა ქცევის პროგნოზირებით და მმართველობაში სტრატეგიული მიდგომის ბატონობით.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები წარმოდგენელია მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის გამოყენების გარეშე. ამიტომ შრომის განაწილების სტრუქტურაში სულ უფრო იზრდება მისი ინსტიტუციური და მმართველობითი შემადგენლის წილი. ასევეა ქართულ რეალობაშიც. საქართველოში მე 20-ე საუკუნის 80-იანი წლებიდან მოხდა, როგორც პროფესორი ნოდარ ჭითანავა აღნიშნავს: „კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ჯერ დაპირისპირების, შემდეგ კი პირველის მიერ მეორეს დამარცხების ეპიცენტრში, როგორც გარე ფაქტორის ზემოქმედების ობიექტი. პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა... დეკლარირებული მიზნები და სოციალურ - ეკონომიკური გარდაქმნების ლოგიკა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა და ქვეყანაში გარდაქმნები სტიქიურად წარიმართა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეროვნულ მეურნეობათა ფუნქციონირება და განვითარება მუდმივი ცვლილებებით აღსავსე პროცესია, რომლებიც ეკონომიკური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში მიმდინარეობს.

განვითარებული საზოგადოების ინსტიტუციური სტრუქტურა მოიცავს, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ წესებს, რომლებიც გარკვეული ფორმით მოქმედებენ ერთმანეთზე.

ტრანსფორმაციული ეკონომიკური პროცესები მთელ რიგ ქვეყნებში მიმდინარეობს სახელმწიფოს როლის გადასინჯვისა და ერთგვარად შესუსტების ფონზე, ანუ, სახელმწიფო ფაქტობრივად პასიურად მონაწილეობს მათში.

ინსტიტუციონალურ-მმართველობითი სისტემა ქართულ ბიზნეს სექტორში მესაკუთრის, მეწარმის და მენეჯერის ალლოზე და პროფესიონალიზმზე, გულმოდგინებასა და შრომის უნარზეა დამოკიდებული. ქართული ბიზნესის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ, შეზღუდული ბაზრის პირობებშიც კი, შეუძლიათ მოძებნონ და დაიკავონ საკუთარი ნიშა და იმუშაონ მომგებიანად,

რისთვისაც აუცილებელია კერძო ინიციატივისა და ინოვაციური საქმიანობის გამოვლენისათვის ფართო ასპარეზის შექმნა, რომელიც გულისხმობს გლობალიზაციის პროცესის და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების ურთიერთ მიმართებასა და თანხვედრაში თავსებადობას.

საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარდამავალ პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ეროვნული მეურნეობის ფორმირებასა და ეფექტიანი ფუნქციონირების სოციალური და ორგანიზაციული პირობების მომზადებაში. მცირე ბიზნესი ხომ ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოში კერძო მეწარმეობის და ნამდვილი საბაზრო ეკონომიკის წარმოშობა, ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა. დღევანდელი მდგომარეობით, ყოველწლიურად იქმნება მცირე და საშუალო საწარმოები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათი 28% უმოქმედოდ არის. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია, ეროვნული ეკონომიკისადმი არაორდინალური მიდგომები და სწრაფი გარღვევის სტრატეგიის გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთება და შესწავლა. სახელმწიფოს უსაფრთხო და სწრაფი განვითარების შიგა და გარე ეკონომიკური ფაქტორების კვლევა და მისი სოციალური, ეკონომიკური და ორგანიზაციულ - მეთოდოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება. აუცილებელია შევავასოთ ეროვნული ეკონომიკის განვითარების პოტენციალი და მასზე გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი გავლენა. კარგი იქნება, გამოვიკვლიოთ გლობალური ტექნოლოგიური და ეკონომიკური სივრცე. შრომის თანამედროვე საზოგადოებრივ დანაწილებაში უნდა წავრსდგეთ, როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციების სხვადასხვა რგოლები. უნდა შევასაღებოთ მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მონაწილეობის დონე. აუცილებელია განისაზღვროს ინვესტიციების განხორციელების სხვადასხვა ფორმები და, თუ, რომელს მიენიჭოს უპირატესობა მსოფლიო ბაზარზე გასვლის თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში - ეკონომიკური ურთიერთობების მართვის ინსტიტუტები და მათი ევოლუცია, განხილულია ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მმართველობითი სფეროები ბიზნესში, ეკონომიკური კრიზისი და მისი დაძლევის ინსტიტუციურ-მმართველობითი მიმართულებები, მართვის პრობლემების სრულყოფა და საერთაშორისო გამოცდილების ჩართვა პრობლემის მოგვარებაში. ინსტიტუციურ-მმართველობითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად შემუშავებულია რეკომენდაციები შემდეგი მიმართულებით:

- საქმიანობის გააქტიურება ბაზარზე ახალი პროდუქციის გატანის მიხედვით;
- უნივერსალიზაცია ყველგან და ყველგან;
- პირველობისკენ სწრაფვა.

გლობალიზაციას ობიექტური ხასიათი აქვს და ამ პროცესმა ასე თუ ისე ყველა ქვეყანა მოიცვა, მაგრამ ცალკეული რეგიონების მასშტაბით ინტენსი-ურად მიმდინარეობს ეროვნულ მეურნეობათა დაახლოება - რეგიონალი-ზაცია, რაც გლობალიზაციის საპირისპირო მოვლენა, ალბათ, არ უნდა მივიჩნიოთ.

2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი დოკუმენ-ტია, რომელიც თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის შექმნას ეხება. აღნიშ-ნული ხელშეკრულება აღრმავებს სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერ-თობებს ევროკავშირთან, რაც ინვესტიციებისათვის დამატებითი სტიმულის მიმცემი იქნება. ევროკავშირთან ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის საკითხები

საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ „მხარეები აცნობიერებენ თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის მნიშვნელობას თავიანთ სავაჭრო ურთიერთ-ობებში. მხარეები აღიარებენ, რომ ანტიკონკურენციული ბიზნეს ქმედებები და სახელმწიფო ჩარევა (მათ შორის სუბსიდიების სახით) ქმნის ბაზრების ნორმალუ-

რი ფუნქციონირების შეზღუდვის შესაძლებლობას და ამცირებს ვაჭრობის ლიბერალიზაციიდან გამომდინარე სარგებელს.

ფინანსური კრიზისის მსჯელობის ძირითად თემად იქცა, სადღეისოდ შემუშავებულია ის 5 ძირითადი პრინციპი, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სისტემამ კრიზისების დროს:

- ❖ სისტემურად მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტების კრახის თავიდან აცილება;
- ❖ საკრედიტო ოპერაციების განახლებისათვის საჭირო კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- ❖ ლიკვიდობისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობის გარანტირება საფინანსო ინსტიტუტებისთვის;
- ❖ დეპოზიტების დაზღვევის პროგრამების საიმედოობის უზრუნველყოფა;
- ❖ იპოთეკური და სხვა ფასიანი ქაღალდების მეორეული ბაზრის საქმიანობის განახლების ზომების მიღება საჭიროებისამებრ.

XXI საუკუნის ფინანსურ კრიზისებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს პერიოდები ერთგვარი პლატფორმაა ინოვაციების განვითარებისა და ეკონომიკის გაახლებისთვის. საგულისხმოა, რომ კრიზისისწინა პერიოდში მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურას შეადგენდნენ ჰაი-ტექი, ფინანსები და ენერჯეტიკა. საინვესტიციო ბანკების გაქრობის შემდეგ საფიქრებელია, რომ ფული ამერიიდან ისევ ჰაიტექში, ენერჯეტიკასა და მომსახურების სფეროში გადაინაცვლებს.

ბევრი პრობლემა ქართულ ორგანიზაციებშიც იგივეა, რაც მსოფლიოს სხვა პოსტ სოციალისტურ ქვეყნებში. თუმცა, გამომდინარე ჩვენი ეროვნული და კულტურული თავისებურებებიდან, ქართული ორგანიზაციების მართვა სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. შევეცდებით ჩამოვყალიბოთ ის ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაჭრა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწობს ქართულ ორგანიზაციებს ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებაში. პრობლემებზე საუბარს დავიწყებთ არასაკმარისი მენეჯერული ცოდნით აღჭურვილი მენეჯერების

არსებობით. ჯერ კიდევ ბიზნესის სფეროში მართვის ყველა დონეზე ვხვდებით არაპროფესიონალ მმართველებს, რაც ხელს უშლის ორგანიზაციის სწორ ფუნქციონირებას. ასევე, მთავარ პრობლემად მიგვაჩნია კომპანიებში მარკეტინგის სამსახურისათვის არასათანადო მნიშვნელობის მინიჭება, რადგან თანამედროვე ბიზნესში წარმატება დიდადაა დაკავშირებული მარკეტოლოგების როლთან.¹ ჩვენს ქვეყანაში უმთავრეს პრობლემად რჩება მენეჯმენტის დამოკიდებულება ხელქვეითებისადმი, რამეთუ, მათი სწორი მოტივაცია, თითოეულის წვლილის დაფასება და დამსახურებისამებრ დაწინაურება ქმნის ჯანსაღ ფსიქოლოგიურ კლიმატს, რაც აუცილებელია კომპანიის მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად. არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა და ძლიერი კორპორაციული კულტურის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება კომუნიკაციებით, ტრენინგებით და ადამიანური რესურსების ინტელექტუალური კაპიტალის სრულყოფით. მართვა სავსეა წინააღმდეგობებით, მანიპულირებადია, თუმცა, აუცილებელია და იდეალურია ნებისმიერი ბიზნეს ორგანიზაციისათვის მიუხედავად იმ მტკიცებისა, რომ საქმიანობათა სხვადასხვა გარემო სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს. აქედან გამომდინარე აუცილებელია მართვის სისტემის სრულყოფა, რაც დაკავშირებულია სტრატეგიულ ინტეგრაციასთან, დასაქმების პოლიტიკის შესაბამის და თანმიმდევრულ განვითარებასთან, რომელიც თავის მხრივ, მოითხოვს გადაწყვეტილებების მიღების მაღალ დონეს და კომპეტენტურობას მენეჯმენტის ყველა დონეზე. თუ გუნდში შეირჩევა ბიზნესზე ორიენტირებული ადამიანების ჯგუფი წარმატება გარდაუვალი იქნება.

ამ თავისებურებების განხილვისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწყის ეტაპზე ბიზნესმენები მართლაც აღწევენ დასახულ მიზანს, მაგრამ ეს წარმატება მოკლევადიანია და სულ მალე მათ ეწყებათ კრიზისი. ჩამოთვლილ სამივე თავისებურებას ვაფასებთ უარყოფითად, რადგან ჩვენს ქვეყანას სჭირდება ბისნესის განვითარების თანმიმდევრული გრძელვადიანი პროგრამა, რისთვისაც

¹ ბარათაშვილი ე. მარიდაშვილი მ. მახარაშვილი ი. და სხვ. მენეჯმენტი. წიგნი 1. თბილისი. 2016. გვ.144-178.

სარეკომენდაციო წინადადებებს ვთავაზობთ ქართულ ბიზნესს და მათ მმართველებს.

ნაშრომის ამავე თავში ჩატარებულია თანამედროვე ბიზნესის მდგომარეობის ანალიზი და აღნიშნულია, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევა მოითხოვს, ერთი მხრივ, ბაზრის მექანიზმების სრულყოფას და მის ფუნქციონირებაში ჩაურევლობას, მაგრამ, მეორე მხრივ, აუცილებელია საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გახდება ბაზრის თავაშვებულობის შემკავებელი და ზომიერების განმსაზღვრელი ფაქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში - **საქართველო და გლობალურ ინსტიტუციურ-მმართველობითი ურთიერთობათა სისტემა** მოცემულია ახალი მიდგომები ქართული ბიზნესის ინსტიტუციურ-მმართველობით ურთიერთობებში. საქართველომ და მისმა ბიზნეს სექტორმა უნდა აირჩიოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარების პროექტები, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების წარმატებულ განხორციელებას. მათ შორის მთავარია ეკონომიკის მდგრადი განვითარება, დემოკრატიის გაღრმავება, თავისუფალი ვაჭრობა, სიღარიბის შემცირება, კონკურენციის პოლიტიკის ადაპტირება და მრავალი სხვა მიმართულება. ამ პრობლემების გადაჭრის გზად წარმოგვიდგენია ევროკავშირთან ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია. სწორედ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება გახლავთ ახალი შესაძლებლობების მომცემი დოკუმენტი, რომლის გამოყენება დამოკიდებულია სახელმწიფო ინსტიტუტებზე და ყველა მათგანზე, ვინც ბიზნესის სფეროში მოღვაწეობს.

მიგვაჩნია, რომ ქართული ბიზნესის წარმატებისთვის აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ❖ განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ❖ არსებული რესურსების სწორი შეფასება;
- ❖ საკუთრების უფლებების მკაფიო განსაზღვრა;

- ❖ პრიორიტეტებიდან გამომდინარე ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობა;
- ❖ მოსახლეობის დასაქმების ზრდა.

ნაშრომის ბოლო თავში მოცემულია ინსტიტუციურ-მმართველობითი ტრანსფორმაციის პერსპექტივები საქართველოში გლობალიზაციის კონტექსტში. ნიშანდობლივია, რომ ინტეგრაციული პროცესების ადეკვატურად სახელმწიფო და მისი ბიზნესი იძენს ახალ ფუნქციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია სწორი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების ქონა ევროინტეგრაციის გარშემო, ასევე სიღრმისეული ანალიზი მოსალოდნელი დადებითი, თუ უარყოფითი თანმხლები პროცესების შესახებ. ხაზს ვუსვამთ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორცაა:

1. კომუნიკაციური ფაქტორი;
2. ერთიანი რეგიონული სივრცის ფაქტორი;
3. ეკონომიკური ფაქტორი;
4. ფსიქიკური ფაქტორი;
5. კულტურულ-რელიგიური ფაქტორი;

ვასკვნით, რომ აღნიშნული ფაქტორების განხილვა უნდა განხორციელდეს სამართლებრივი, სოციალური, პოლიტიკური და საერთო ეკონომიკური ინტერესების კუთხით.

ახალ ინტეგრაციულ რეალობაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული თვით საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ინტერესები, რომელიც მთლიანად უნდა წარმოვიდგინოთ რეგიონული ინტეგრაციის კონტექსტში, სრულიად ახალი რეალობა და მისგან გამომდინარე შესაძლებლობების ეფექტიანად წარმართვის თვალსაზრისით. რეგიონული ინტეგრაციის კურსის გატარებისათვის არსებობს ობიექტური ისტორიული წანამდევრები ფუნდამენტური მეცნიერული კვლევების სახით, რომლის მდიდარი პრაქტიკაც არსებობს აგრეთვე, რაც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ ახალ სინამდვილეს უნდა მივუსადაგოთ, რომელმაც ლოგიკურად უნდა მიგვიყვანოს რეგიონის ჰარმონიული განვითარების სასტარტო მდგომარეობამდე.

ტრანსფორმაციულმა პროცესებმა, შეცვალა ქვეყნის განვითარების ტრადიციული სტრატეგიები. ევროკავშირში ქართული რეალობა განსხვავებული თავისებურებებით გამოჩნდა. სტრატეგიული ხედვის არეალი გაფართოვდა და უფრო მრავალმხრივი დატვირთვა შეიძინა. დღეს გლობალური პროცესები და რეგიონული ინტეგრაციული ნაკადები ნებისმიერი ქვეყნისათვის და მათ შორის საქართველოსთვის განვითარების უმთავრესი ორიენტირია. ეს თავისებურება ახალ პარადიგმებს სთავაზობს სუვერენულ სახელმწიფოს, რომლის განვითარების ტრადიციული სტრატეგიები შეიცვალა. მრავალგზის აღვნიშნავთ, რომ სტრატეგიული ხედვის არეალი შეიცვალა და უფრო მრავალმხრივი დატვირთვა შეიძინა. მკაფიოდ გამოიკვეთა ინტეგრაციის როლი საქართველოს განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში. ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესები სხვადასხვა თავისებურებებით გამოჩნდა. ბიზნესის განვითარების განხორციელების ალტერნატიული წყაროების არსებობა და მოტივაციური მიდგომების მრავალფეროვნება ართულებს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას, ამიტომ, ახალი რეალობა ახალ რეგულაციებს ითხოვს, ბიზნესის როგორც ინსტიტუციურ, ისე მმართველობით სფეროში. მაგალითად, გლობალური და რეგიონული პროცესების რეგულირების, საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობის, გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში ფართოდ მანევრირების, ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობისას ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების და ბიზნესის დაცვის და სხვა ფუნქციებს.

ბიზნესის წახალისების მიზნით ქვეყანამ უნდა შეძლოს ეკონომიკის ტრანსფორმირება. არსებული ბიზნესი ზოგიერთ სფეროში სწრაფად ვითარდება, მაგრამ დამწყები ბიზნესი ჯერ კიდევ ვერ იზიდავს ფინანსებს თავიანთი იდეების განსახორციელებლად. ამ პრობლემის გადასაჭრელად და დამწყები ბიზნესის ხელშესაწყობად საჭიროდ მივიჩნევთ ინსტიტუციური და მმართველობითი ურთიერთობების სრულყოფას. უპირატესობა უნდა მიენიჭოს მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსებსა და ენერჯიას ახალი ბიზნესის მხარდაჭერისა და ინოვაციური იდეების წასახალისებლად. ყოველივე ეს გააძლიერებს საშუალო ფენას ქვეყანაში და ჩვენს მოსახლეობას უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებით.

საქართველოსთვის, სადაც მწვავედ დგას ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, ალბათ უპრიანი იქნება სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიზაციის (სახელმწიფო პრობლემების გადაწყვეტა ეკონომიკური პრობლემებით) გამოყენება. ეს კონცეფცია პირველად ამერიკელმა მეცნიერმა ედ. ლუტტვაკმა შემოგვთავაზა, XX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც უპირატესობა მიანიჭა „გეოეკონომიკას“, ანუ პოლიტიკური ამოცანების ეკონომიკური მეთოდებით გადაწყვეტას. ავტორის ეს ვარაუდი ბოლო წლებში გამართლდა.

ამჟამად მსოფლიოში სამი გეოეკონომიკური პოლუსის (ჩრდილო ამერიკული, დასავლეთევროპული აზიურწყნაროკეანეთის)-ფუნქციონირება განსაზღვრავს გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის წინააღმდეგობრივი პროცესების მასშტაბს, თავისებურებებს, დინამიზმს. ნიშანდობლივია, რომ პირველზე მოდის მსოფლიო მშპ-ის 21%, მეორეზე- 20, ჩინეთზე-12 და იაპონიაზე-7.5%. აღნიშნული პოლუსების ფუნქციონირება გვიჩვენებს, რომ „გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია თავსებადი პროცესებია და ერთიანი მთლიანი სისტემის შემადგენელი ნაწილები, ისინი ერთმანეთს ავსებენ, ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან და ქმნიან განვითარების ერთიან სისტემა -პროცესს“.

გაკეთებულია შემაჯამებელი დასკვნა.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი:

1. ინსტიტუციურ-მმართველობითი სისტემის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები (ასპექტები) ბიზნესის სფეროში (05.02.2015);
2. ეკონომიკური ურთიერთობების მართვის ინსტიტუტები და მათი ევოლუცია (13.07.2015);
3. საქართველო და გლობალურ ინსტიტუციურ-მმართველობითი ურთიერთობათა სისტემა (16.02.2016);

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის შრომებში:

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და შედეგები გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში შმდეგი სტატიების სახით:

1. „მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური უზრუნველყოფა, პრობლემები და შემაფერხებელი ღონისძიებები.“ ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ N2, 2013 წ.
2. „ინსტიტუციურ-მმართველობითი ტრანსფორმაციები და ქართული რეალობა.“ ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა N-2, 2014. გვ.133-139
3. „ინსტიტუციური ცვლილებების გავლენა ბიზნესზე“ N-7.2014 წ.გვ.103-107
4. „სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები საქართველოში და მმართველობის ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ასპექტები“ სამეცნიერო შრომათა კრებული „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები,“ N-2, 2015 წ.გვ.89-99
5. სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციები და ინსტიტუციურ-მმართველობითი ინოვაციები, ჟ. სოციალური ეკონომიკა“ N-6, 2015წ.გვ.25-30.

6. „ ბიზნესზე მმართველობითი ტრანსფორმაციების გავლენა და ინსტიტუციები გლობალიზაციის კონტექსტში.“ შრომების კრებული, „ ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები“, ახალციხე-2015.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და შედეგები მოხსენდა საერთაშორისო კონფერენციებს:

1. „ინსტიტუციურ-მმართველობითი ტრანსფორმაციები და ქართული რეალობა”,

პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის კრებული, ბათუმის ნავიგაციის სასწ. უნივერსიტეტი. თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები, კვლევები.24-25 ივნისი,2015 წ. გვ.158-163.

2.“ინსტიტუციური და მმართველობითი ტრანსფორმაციები ეკონომიკური კრიზისის პირობებში“, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტთა მე-3 საერთაშორისო კონფერენციის თეზისები,კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,თბილისი 2 მაისი, 2015;

3. „ეკონომიკური კრიზისის გავლენა ბიზნესზე გლობალიზაციის პირობებში“, სტუ-ს 83 ღია საერთაშორისო კონფერენცია, ივნისი,2015 (თეზისები არ დაბეჭდილა);

4. „ინსტიტუციონალური და მმართველობითი ურთიერთობების განვითარება ბიზნესის სფეროში“კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. მე-2 საერთაშორისო კონფერენცია, მაისი,2014 წ.